

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №2
2021 წლის 5 თებერვალი

ქ. ახალქალაქი

„ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ 2020 წლის 25 დეკემბრის №19 დადგენილების დანართში (www.matsne.gov.ge, 01/01/2021, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.141.016323):

1. დანართის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ერთჯერადი ფულადი დახმარებია გაიცემა ახალშობლის დაბადებიდან 12 თვის განმავლობაში. 2020 წელს დაბადებულები ახალშობილები მიიღებენ დახმარებას შემდეგი ოდენობით: (იმ შემთხვევაში თუ არ უსარგებლიათ ანალოგიური დახმარებით 2020 წელს)“

ა) პირველი და მეორე ახალშობილისთვის – 250 ლარი;

ბ) მესამე ახალშობილისთვის – 350 ლარი;

გ) მეოთხე ახალშობილისთვის – 500 ლარი;

დ) მე-4 ახალშობილის შემდგომი ყოველი ახალშობილისთვის დაბადების შემთხვევაში 300(სამასი) ლარით მეტი.

2. დადგენილების დანართის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „სოციალური ჯგუფების შერჩევა და ბენეფიციარზე გასაცემი თანხის ოდენობა (100-1500ლარი) და/ან მატერიალური დახმარების ჩამონათვალი განისაზღვრება მუნიციპალიტეტის მერის მიერ“.

3. დადგენილების დანართის მე-40 მუხლის ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ნაირი ირიციან

